



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის 2017 წლის 31
დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური
აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ



10 ივლისი, 2018 წელი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს

ბატონ გიორგი აბაშიშვილს

ბატონო გიორგი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგენს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა პირობითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორის მოადგილე

დავით გოგიჩაიშვილი

სარჩევი

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	4
1.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	4
2.1 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება.....	4
2.2 სახელმწიფო შესყიდვები	5
2.3 პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი.....	5

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება 2004 წელს შექმნილი საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განვითარებისა და რეფორმების ფონდის მიმართ არსებული 1,995,448 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება. ფონდის ლიკვიდაცია განხორციელდა 2010 წელს, ლიკვიდირებული ორგანიზაციიდან დებიტორული დავალიანების დაფარვის ალბათობა ძალიან მცირეა. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ნაშთი 1,995,448 ლარით ზედმეტად არის წარმოდგენილი, რაც შეუსაბამოა ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან¹.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხება 2007-2010 წლებში წარმოშობილი 3,775,406 ლარის ოდენობის დებიტორული დავალიანება, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით, წარმოადგენს მივლინების ხარჯებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისი დოკუმენტაციის არ არსებობის გამო, გაურკვეველია ანგარიშვალდებული პირები. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული 3,775,406 ლარის ოდენობის „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე.

რეკომენდაცია N1

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად განკარგვის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დეტალურად შეისწავლოს ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანებების რეალობასთან და ამოღებასთან დაკავშირებული საკითხები, გამოვლენილი შედეგებიდან გამომდინარე, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

გამოვლენილი გარემოება

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილი ბიუჯეტი ზუსტად უნდა პასუხობდეს ორგანიზაციის ძირითად მიზნებს და ამოცანებს. საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და მიზნობრივი ხარჯვის ხელშეწყობის მიზნით, ბიუჯეტის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი დასაბუთებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ, საბიუჯეტო განაცხადის თანახმად, „კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების“ კლასიფიკაციით დაგეგმილმა თანხამ შეადგინა 310,000 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 1,380,650 ლარი. 2017 წლის განმავლობაში, აღნიშნული მუხლიდან წინასწარი ანგარიშსწორებით 556,778 ლარი გახარჯულია 2018 წლის 4-5 იანვრის საახალწლო ღონისძიებისთვის.

წლის ბოლოს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტის გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილება მიუთითებს დაგეგმვის პროცესში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზზე.

რეკომენდაცია N2

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ დამატებითი ყურადღება გამახვილდეს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, რათა დროულად და რეალისტურად განისაზღვროს მათ მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი, რათა

1 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, მუხლი 43, პუნქტი 31

თავიდან იქნეს აცილებული ფისკალური წლის მიმდინარეობის პროცესში სახსრების მასშტაბური გადანაწილებები.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

გამოვლენილი გარემოება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს ასახული გასაწევი მომსახურების მახასიათებლები, რათა შემსყიდველს მიღება-ჩაბარების ეტაპზე მიეცეს შესაძლებლობა შეაფასოს შესყიდული ობიექტი შეესაბამება თუ არა იმ მოთხოვნებს, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

საახალწლო ღონისძიების მომსახურების შესყიდვის მიზნით, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და შპს „ვანილა ივენთს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 499,777 ლარი, რომელიც ითვალისწინებდა ღონისძიების დაგეგმვა/ორგანიზებას, აქტივობებს, პირო ტექნიკას, ეზოს მოწყობას, დეკორაციებს და ა.შ. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიღება-ჩაბარების აქტი პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულების შესრულების კონტროლის საფუძველზე.

გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან სპეციფიკაციებს (შესყიდული მომსახურებისთვის გამოყენებული დეკორაციების ხარისხი, რაოდენობა, ზომები, ესკიზები და სხვა მახასიათებლები), რომლითაც უნდა განსაზღვრულიყო ის მინიმალური მოთხოვნები, რაც უნდა დაეკმაყოფილებინა მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებას. მაგალითისთვის, ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული იყო მხოლოდ:

-)/ დეკორატიული სასახლე (42,350 ლარი);
-)/ ლოლი პოპის დეკორაცია (22,500 ლარი);
-)/ საშობაო სახლები (16,250 ლარი);
-)/ ნაძვის ხეები (12,600 ლარი);

რეკომენდაცია N3

პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჭიროებებთან და მოთხოვნებთან თანხვედრის და ხარისხის კონტროლის მიზნით, საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას, გაფორმებულ ხელშეკრულებებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაქსიმალურად დეტალურად აისახოს/აღიწეროს შესასყიდი საქონლის ან მომსახურების კონკრეტული მახასიათებლები, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს გადახდილ ფასსთან შეუსაბამო საქონლის ან მომსახურების მიღება.

რეკომენდაცია N4

საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისმა მაკონტროლებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა, განსაკუთრებით დეტალურად შეამოწმოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებში რამდენადაა დაცული ყველა ის პრინციპი, რამაც უნდა უზრუნველყოს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ხოლო გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3 პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

გამოვლენილი გარემოება

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად, რომლის მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჭიროებისათვის ისეთი ხარჯები, რომლებიც ვერ ჩაითვლება გათვალისწინებულად და სათანადოდ დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მათი ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება².

სარეზერვო ფონდიდან 76,121 ლარის ოდენობის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯების დაფინანსება არ შეესაბამება საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს³.

საგულისხმოა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ანალოგიურ ნაკლოვანებებზე, რეკომენდაცია წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგებზეც იყო გაცემული.

რეკომენდაცია N5

საბიუჯეტო სახსრების ეფექტური და რაციონალური ხარჯვის მიზნით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოხდეს წლის განმავლობაში განსაზოგციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იქნება შესაძლებელი.

² პრეზიდენტის განკარგულებები: N03/01/04; N25/12/03; N13/04/03; 11/01/01.

³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 28

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE